



დაწოლილა, ვენახში ამოსვლია სული. საწყალი ბაბაღე ახლა ქვრივის ჭაპანში შებმულა. ქმრის დაკრძალვისათვის ნათლია მღვდლისაგან უსესხნია 30 მანეთი. ჩემს ახალგაზრდობაში მინახავს ეს ქალღმერთები. მეორე წელიწადს 30 მანეთი უკვე სამასია. ამ ვალის მართო სარგებელში ყოველწლიურად სამი-ოთხი საპალნე ღვინო მიჰქონებია მღვდელს ოცდათორმეტი წლის განმავლობაში, სანამ საბჭოთა ხელისუფლება არ დამყარებულა საქართველოშიც. შემორჩენილი გვაქვს ბაბაღეს ჩანაწერები დათარიღებული ჩყპც \_ 1888 წლით, რა როგორ იყო და რაში რამდენი გადაუხდია. აი, ორი პატარა ადგილი: 1. „მაისში რომ ქალაქ წავედი, ოთხი აბაზი გვარიძეს მივეცი, ორი აბაზი წყალში რომ გამიყვანეს, იმათ მივეცი, ერთი აბაზით გზაში პური ვაჭამევი, იქიდან რომ წამოვედი, ექვსი აბაზი უჯარმელ კაცს მივეცი“. 2. „თორმეტ თვეს სულ რაზბორი იყო. თვეში ორჯერ მივდიოდი ქალაქშია, მთელი სოფელი მხედამდა: ზოგჯერ თუ ფული მეხარჯებოდა, ბევრჯერ ჩემ ჯანსა ვხარჯამდი და ფეხით მივდიოდი და მოვდიოდი“. სულ იგრძნობა, რა ცრემლის ზღვაც მდგარა ამ ჩანაწერების უკან.

პაპაჩემი ივანე ადრე დაუქორწინებიათ ჩვენუბნელსავე ქალზე, ხატიაშვილ ნინოზე (აი, ამ ხატიაშვილებსაც ჰქონიათ პრეტენზია კაწარეთელთა შთამომავლობაზე). ყოფილან ესენი მესაქონლენი და პურის მომყვანნი. საოცრებას წარმოადგენდა მათი ვეება მარნის მუხის დედაბოძი და თავზე \_ შემკული ჩუქურთმებით. ინანიშვილები და ოქრუაშვილები, თურმე, მაინც ცხვირს უბზუებდნენ ბებიაჩემ ნინოს, გარეგნულადაც, ალბათ, დიდად თვალმახარას არა (შავგვრემანი იყო, ტანმომცრო), მაგრამ ბებიაჩემი ამაყად იტყოდა ხოლმე, \_ ამათ წიგნი იცოდნენ ყველაშა, სამაგიეროდ, მე ორმოცი თუმანი მართო ქრთამი მქონდა, მზითებში კიდევ სხვაო. „წიგნი“ ბებიაჩემმაც იცოდა და კარგადაც, ბუნებით ხომ, ახლა რომ ვფიქრობ, გამორჩეული იყო ყველასაგან. ოცდასამი წლისა დაქვრივებულა, ოთხი შვილი დარჩენია. მაგრამ ერთხელ, ცამეტი წლის რომ ვიყავი, ეშმაკად ასეთი რამე წამცდა, \_ რა გული გაგისკდა-მეთქი, \_ და მთელ დღეს იტირა, ეგ როგორა მკადრეო. თავისთვის ჰქონდა რვეულები, ბლოკნოტები, შიგ ეწერა რევოლუციური სიმღერები, ლექსები. იქნებ საკუთარი ლექსებიც? ვაი, რომ ახლა მთლიანად დაკარგულია ჩვენი ძველი ქალღმერთები! არადა, თვითონ როგორ უფრთხილდებოდა...

ერთი ეს მახსოვს მის მეუღლეზე თქმული: მთელი დესეტინა ყარაბულახის ვენახს რომ გვიყიდიდნენ „ტორგში“, ის იჯდა და „დავითიანს“ კითხულობდაო.

ცალკე თავი, ცალკე თავი ბებიაზე!